მივლინების ანგარიში

მივლინების ადგილი	ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა
მივლინების თარიღი	12-14 სექტემბერი
მივლინების მიზანი	მონაწილეობა საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) ახალგაზრდა პარლამენტართა მეათე მსოფლიო კონფერენციაში
ღონისძიების თემა	განათლების და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ახალგაზრდა თაობისთვის
დელეგაციის შემადგენლობა	***სალომე ქურასბედიანი*** - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ***ირაკლი ბროკიშვილი*** - მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის მდივანი.
აქტივობები	12-14 სექტემბერს, სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში, გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო კონფერენცია, რომლის მუშაობაში 60-ზე მეტი ქვეყნის ეროვნული პარლამენტის და საერთაშორისო ორგანიზაციების 250-მდე დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაში, ასევე, მონაწილება მიიღეს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, საპარლამენტთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა. ღონისძიების მთავარ განსახილველ თემას ახალგაზრდა თაობისთვის განათლების და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ისეთი კრიზისები, როგორიცაა ომები, კონფლიქტები, პანდემია, კლიმატის ცვლილება და ეკონომიკური გამოწვევები, მნიშვნელოვნად აისახება ახალგაზრდების შესაძლებლობაზე მიიღონ ხარისხიანი განათლება და იპოვონ ღირსეული სამუშაო. პარლამენტების წევრებმა საკუთარ ქვეყნებში არსებული პრაქტიკები გაუზიარეს კონფერენციის მონაწილეებს. სალომე ქურასბედიანმა, მომხსენებლის რანგში, მონაწილეობა მიიღო კონფერენციის ფარგლებში გამართულ თემატურ სამუშაო შეხვედრაში, სადაც ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში დაუბრკოლებელი ინტეგრაციისათვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაზე იმსჯელეს. დეპუტატებმა შეიმუშავეს სამუშაო დოკუმენტი, გზამკვლევი, რომელიც აღნიშნული ჯგუფებისათვის განათლებისა და სამუშაოს უწყვეტი ხელმისაწვდომობის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმასა და სხვა და სხვა წამახალისებელი ინსტრუმენტის გამოყენებას გულისხმობს. სამუშაო ჯგუფის შედეგები სალომე ქურასბედიანმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო. კონფერენციაზე ასევე განიხილეს ახალგაზრდების სამომავლო ხელშეწყობის გზები სხვადასხვა მიმართულებებით. მათ შორის, გაიმართა პანელური დისკუსიები თანასწორობის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის თემებზე, რაც ახალგაზრდებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.